კვლევის ძირითადი მიზნები:

- საქართველოს საჯარო დაწესებულებების გამჭვირვალობის ხარისხის ამაღლება;
- ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ხელშეწყობა;
- საქართველოში ინფორმაციის თავისუფლებასთან დაკავშირებული საკანონმდებლო ცვლილებების ინიცირება;
- საქართველოში ელექტრონული მმართველობისა და ელექტრონული გამჭვირვალობის განვითარება.

საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საფინანსო ანალიტიკური სამსახურის ოფიციალური ვებ-გვერდის (www.fas.ge) საინფორმაციო გამჭვირვალობისა და ელექტრონული მმართველობის შეფასებითი მონიტორინგი

2011 წლის 28 ოქტომბერი

ყველა უფლება დაცულია

ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი

ა. მაჭავარიანის ქ. №4, ბინა1. 0179. საქართველო, თბილისი.

Tel: +995322 996364.

www.idfi.ge / www.opendata.ge

info@idfi.ge

საჯარო სამართლის იურიდიული პირი - საფინანსო-ანალიტიკური სამსახური

www.fas.ge

გამოვლენილი ძირითადი ხარვეზები და რეკომენდაციები




ინფორმაციის არსებობა ვებ-გვერდზე
წარმოდგენილი ინფორმაციის ხარისხი
1. ზოგადი ინფორმაცია საჯარო დაწესებულების შესახებ
40,91%
58,44%
2. საჯარო დაწესებულების სისტემა/სტრუქტურა
37,50%
96,67%
3. მონაცემები საჯარო დაწესებულების საინფორმაციო რესურსების შესახებ
60,00%
35,83%
4. ძირითადი კომპეტენციის სფეროში საჯარო დაწესებულების საქმიანობის შესახებ ცნობები
30,77%
32,13%
5. სამართლებრივი აქტები და საჯარო დაწესებულების ნორმაშემოქმედებითი საქმიანობა
0,00%
0,00%
6. საჯარო დაწესებულების საქმიანობის წესი, რომელიც მიზნად ისახავს ფიზიკურ და იურიდიულ პირთა უფლებების, თავისუფლებებისა და კანონიერი ინტერესების უზრუნველყოფას
15,38%
47,50%
7. ს-დ საქმიანობის ფარგლებში მიმდინარე სახელმწიფო შესყიდვების, სახელმწიფო ქონების პრივატიზების, ხელშეკრულებების გაფორმების შესახებ ცნობები
0,00%
0,00%
8. საჯარო დაწესებულების საკადრო უზრუნველყოფა
40,00%
20,00%
9. საჯარო დაწესებულების დაფინანსება და ხარჯთაღრიცხვა (ბიუჯეტი)
0,00%
0,00%
0,00%
50,00%
100,00%
150,00%

საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საფინანსო-ანალიტიკური სამსახურის ვებ-გვერდზე არ მოიძიება:

- **ზოგადი ინფორმაცია საჯარო დაწესებულების შესახებ**

1. ვებ-გვერდზე არ მოიძება სამსახურის ხელმძღვანელობის შესახებ არანაირი სახის ინფორმაცია, კერძოდ:

- არ მოიძიება სამსახურის უფროსის სახელი და გვარი, ფოტოსურათი, ვრცელი ბიოგრაფიული მონაცემები, კომპეტენციის აღწერა. აგრეთვე, არ მოიძიება უფროსის არანაირი საკონტაქტო რეკვიზიტი - სამუშაო ელ.ფოსტა, მისაღების (თანაშემწის) ტელეფონისა და ფაქსის ნომრები;

- არ მოიძიება სამსახურის უფროსის მოადგილის სახელი და გვარი, ფოტოსურათი, ვრცელი ბიოგრაფიული მონაცემები, კომპეტენციისა აღწერა. აგრეთვე, არ მოიძიება მოადგილის არანაირი საკონტაქტო რეკვიზიტი - სამუშაო ელ.ფოსტა, მისაღების (თანაშემწის) ტელეფონისა და ფაქსის ნომრები.

სასურველია, ვებ-გვერდზე შეიქმნას (ქვე-)განყოფილებები, სათაურად „სამსახურის უფროსი“ და „მოადგილე“ სადაც განთავსდება მათ შესახებ ყველა ზემოთ აღნიშნული, შესაბამისი ინფორმაცია.

2. სამსახურის სრული დასახელება არის „საჯარო სამართლის იურიდიული პირი - საფინანსო-ანალიტიკური სამსახური“, ხოლო ვებ-გვერდზე არ არის მოცემული სიზუსტით ზემოთხსენებული დასახელება:

3. არ მოიძიება ვებ-გვერდის ოფიციალურობის დამადასტურებელი წერილობითი აღნიშვნა და სამსახურის შენობის მდებარეობის აღმნიშვნელი რუკა.

4. ვებ-გვერდზე მოცემულია სამსახურის საკონტაქტო ტელეფონის ნომერი, თუმცა სასურველია, აქვე მითითებულიც იყოს, რომ მოცემული ნომერი წარმოადგენს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის ტელეფონის ნომერს:



5. ვებ-გვერდზე არ მოიძიება სამსახურის სრული სარეკვიზიტო ცნობარი (სტრუქტურული ქვედანაყოფების სატელეფონო ცნობარი, ელ. ფოსტები და ფაქსის ნომრები), აგრეთვე, არ მოიძიება სამსახურის მიერ ფიზიკური და იურიდიული პირების მიღების და მათთან მუშაობის გრაფიკი.

6. ვებ-გვერდზე არ მოიძიება სამსახურის ზემდგომი (მაკონტროლებელი) ორგანოს, კერძოდ საქართველოს ფინანსთა სამინისტროს დასახელება.

7. ვებ-გვერდზე არ არსებობს (ქვე-)განყოფილება სათაურად „ისტორია“, სადაც განთავსდებოდა სამსახურის დაფუძნების თარიღიდან მოყოლებული დეტალური საქმიანობის ისტორია.

ამასთან, სამსახურთან სატელეფონო კავშირის შედეგად გაირკვა, რომ სამსახური წარმოადგენს ფინანსთა სამინისტროს საინფორმაციო ტექნოლოგიური დეპარტამენტის უფლებამონაცვლეს, სასურველია ვებ-გვერდზე მოიძიებოდეს ხსენებულთან დაკავშირებით შესაბამისი ინფორმაცია.

8. ვებ-გვერდზე არსებულ განყოფილებაში, სათაურად „ჩვენს შესახებ” არსებულ ქვე-განყოფილებაში „მისია“ მოცემულია სამსახურის მიზნების შესახებ ძალზედ მწირი ინფორმაცია:



სამსახურის მიზნები

1. ფინანსთა სამინისტროს ეფექტური ფუნქციონირებისთვის საჭირო საინფორმაციო-საკომუნიკაციო ინფრასტრუქტურის შექმნა
2. ფინანსთა სამინისტროს ინფორმაციული უსაფრთხოების ხელშეწყობა
3. საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში ფინანსთა სამინისტროს ინფორმაციული და ანალიტიკური მხარდაჭერა
4. ფინანსთა სამინისტროს საინფორმაციო სისტემების ქვეყნის საინფორმაციო-საკომუნიკაციო სივრცეში ინტეგრაცია
5. საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა საქმიანობა

სასურველია, აღნიშნულ ქვე-განყოფილებაში განთავსდეს სამსახურის მოქმედი დებულების თანახმად განსაზღვრული სამსახურის მიზნების, ფუნქციებისა და საქმიანობის ძირითადი მიმართულებების აღწერა.

- **საჯარო დაწესებულების სისტემა/სტრუქტურა**

9. ვებ-გვერდზე არ მოიძიება სამსახურის სტრუქტურის შესახებ შემდეგი სახის ინფორმაცია, კერძოდ:

- არ მოიძიება სტრუქტურული ქვედანაყოფების ხელმძღვანელების სახელები და გვარები, ფოტოსურათები, ვრცელი ბიოგრაფიული მონაცემები, კომპეტენციის აღწერა და აგრეთვე მათი საკონტაქტო რეკვიზიტები: სამუშაო ელ.ფოსტები, მისაღების (თანაშემწეების) ტელეფონისა და ფაქსის ნომრები;

- არ მოძიება სტრუქტურული ქვედანაყოფების ელექტრონული ფოსტის მისამართები და საკონტაქტო ტელეფონის ნომრები.

ამასთან, სამსახურის სტრუქტურის სქემატური აღწერა (სტრუქტურული ხე) მოცემულია ვებ-გვერდზე არსებულ განყოფილებაში „ჩვენს შესახებ“ არსებულ ქვე-განყოფილებაში „სტრუქტურა“ მიმაგრებულ დოკუმენტში, სასურველია სქემატური აღწერა განთავსდეს, აგრეთვე, მოცემულ ქვე-განყოფილებაში მიმაგრებული ფაილის გარეთ:



- **მონაცემები საჯარო დაწესებულების საინფორმაციო რესურსების შესახებ**

10. ვებ-გვერდზე არ არის მოცემული შემდეგი სახის მნიშვნელოვანი მონაცემთა ბაზები: არ არსებობს ვაკანსიათა და ტენდერების ვრცელი არქივი (არ არსებობს ტენდერების შესაბამისი (ქვე)-განყოფილება), საერთაშორისო და ადმინისტრაციული ხელშეკრულებები, სამსახურის საქმიანობის ამსახველი 2011 კვარტალური ანგარიშები, პროგრამები *და ა.შ.*

არ მოძიება, აგრეთვე, ადმინისტრაციული დეპარტამენტის მიერ შემუშავებული შემოსავლებისა და ხარჯების გეგმები, ფინანსური ანგარიშები და წლიური ხარჯთაღრიცხვები; სამსახურის მიერ შემუშავებული ანალიტიკური-სტატისტიკური ფორმები, აგრეთვე, შედგენილი და გამოცემული ქვეყნის სახელმწიფო დაფინანსების ფაქტობრივი მაჩვენებლების ამსახველი სტატისტიკურ-საინფორმაციო კრებულები.

ამასთან, ვებ-გვერდზე არსებულ განყოფილებაში სათაურად „ჩვენს შესახებ“ არსებულ ქვე-განყოფილებაში „სტრატეგია“ მიმაგრებული დოკუმენტი ჩამოტვირთვას არ ექვემდებარება:



ვებ-გვერდზე არსებულ განყოფილებაში სათაურად „მომსახურება“ არსებულ ქვე-განყოფილებაში „ბიბლიოთეკა“ იუწყება, რომ გვერდი დამზადების პროცესშია:

ვებ-გვერდზე არსებულ განყოფილებაში სათაურად „სიახლე“ განთავსებულ ბმულზე გადასვლისას „სიახლეები არქივი“ გახსნილი გვერდი ცარიელია:

- **ძირითადი კომპეტენციის სფეროში საჯარო დაწესებულების საქმიანობის შესახებ ცნობები**

11. შეიძლება ითქვას, რომ ვებ-გვერდზე არ არსებობს სამსახურის საქმიანობის შესახებ საინფორმაციო ხასიათის მიმოხილვები; ვებ-გვერდზე არსებულ განყოფილებაში სათაურად „სიახლე“ განთავსებულია მხოლოდ ორი საინფორმაციო ხასიათის განცხადება:

ვებ-გვერდზე არ მოიძიება სამსახურის ხელმძღვანელ პირთა მიმდინარე საქმიანობის შესახებ არანაირი სახის ცნობები. კერძოდ:

- არ მოიძიება სამსახურის უფროსის გამოსვლების, განცხადებების, ბრიფინგების ტექსტები, ცნობები მისი ოფიციალური/სამუშაო ვიზიტების შესახებ, აგრეთვე, ცნობები მისი მონაწილეობის შესახებ ამა თუ იმ ღონისძიებებში;

- არ მოიძიება სამსახურის უფროსის მოადგილის გამოსვლების, განცხადებების, ბრიფინგების ტექსტები, ცნობები მათი ოფიციალური/სამუშაო ვიზიტების შესახებ, აგრეთვე, ცნობები მათი მონაწილეობის შესახებ ამა თუ იმ ღონისძიებებში.

12. ვებ-გვერდზე არსებულ განყოფილებაში სათაურად „ჩვენს შესახებ“ არსებულ ქვე-განყოფილებაში „ანგარიშები“ განთავსებულია სამსახურის საქმიანობის ერთადერთი წლიური ანგარიში, სასურველია აღნიშნულ განყოფილებაში განთავსდეს აგრეთე სამსახურის საქმიანობის ამსახველი მიმდინარე კვარტალური ანგარიშები:



13. ვებ-გვერდზე არ არსებობს (ქვე-)განყოფილება „სტატისტიკა“, სადაც განთავსდებოდა სამსახურის მიერ შეგროვებული და დამუშავებული ოფიციალური სტატისტიკური ინფორმაცია და მონაცემები იმ ძირითადი მაჩვენებლების შესახებ, რომლებიც ასახავენ სამსახურის საქმიანობის ძირითად სფეროებში არსებულ სიტუაციასა და მათ განვითარების დინამიკას.

სტატისტიკური ინფორმაცია განთავსებულია ვებ-გვერდზე არსებულ განყოფილებაში სათაურად მომსახურება, არსებულ ქვე-განყოფილებებში „ცხელი ხაზი“ და „ტრენინგი“:



ტრენინგი

სსიპ საფინანსო-ანალიტიკური სამსახურის 55-მა თანამშრომელმა 2010 წელს გაიარა ფინანსთა სამინისტროს აკადემიის მიერ ორგანიზებული ტრენერთა ტრენინგი.

სსიპ საფინანსო-ანალიტიკური სამსახურის ტრენერთა მიერ ორგანიზებული ელექტრონული დოკუმენტბრუნვის ტრენინგი გაიარა ფინანსა სამინისტროს ცენტრალური აპარატის 9 დეპარტამენტმა, საერთო ჯამში 216-მა თანამშრომელმა.

2010 წლის ივლის-აგვისტოში სამსახურის საოპერაციო დეპარტამენტის 15 თანამშრომელმა ჩაატარა 10 ტრენინგი, რომელსაც ესწრებოდა ყველა საბიუჯეტო ორგანიზაციის სულ მცირე 1 თანამშრომელი.

ზოგადი სტატისტიკა:

69 ორგანიზაციას ჩაუტარდა ტრენინგი

ტრენინიგი საერთო ჯამში გაიარა 454 პირმა.

14. ვებ-გვერდზე არ არსებობს (ქვე-)განყოფილება „პროგრამები“, სადაც მოყვანილი იქნებოდა იმ პროგრამების ჩამონათვალი და მათ შესრულების შესახებ (წლიური) მოხსენებები, რომელთა დამკვეთს, შემსრულებელს ან რეალიზაციაში რაიმე სახით მონაწილე მხარეს წარმოადგენს სამსახური. აგრეთვე, ცნობები იმ პროგრამების ფარგლებში მიმდინარე ღონისძიებების შესახებ, რომელთა რეალიზაციაში მონაწილე მხარეს წარმოადგენს სამსახური. *(პროექტ **„საჯარო ინფორმაციის მონაცემთა ბაზის“ ფარგლებში, რომელსაც ახორციელებს „ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი"**, საფინანსო-ანალიტიკური სამსახურისათვის მიმართული ოფიციალური წერილით მოთხოვნილ იქნა 2011 წლის პირველ კვარტალში (სამი თვე) შესაბამისი სამართლებრივი აქტის საფუძველზე ან/და საკუთარი ინიციატივით განხორციელებული იმ პროექტებისა და პროგრამების (სოციალური, მიზნობრივი, კვლევითი, საგანმანათლებლო, ამა თუ იმ სფეროს განვითარებაზე მიმართული და მისთ.) ამომწურავი ჩამონათავლი, რომელთა დამკვეთს, შემსრულებელს ან რეალიზაციაში რაიმე სახით მონაწილე მხარეს წარმოადგენს სამსახური, რომელიც მოწოდებულ იქნა, რაც შესაძლებელს ხდის სამსახურის მიერ ამ ინფორმაციის ვებ-გვერდზეც განთავსებას. მოცემული ინფორმაცია შესაძლებელია მოძიებულ იქნეს შემდეგ ბმულზე:*

http://www.opendata.ge/pdf_files/safinansoanalitikuri_proeqtebi.pdf).

15. სასურველია, ვებ-გვერდზე არსებულ განყოფილებაში „პროექტები“ განთავსდეს აგრეთვე, პროექტების შესრულების შესახებ (წლიური) მოხსენებები, აგრეთვე, ცნობები პროექტების ფარგლებში მიმდინარე ღონისძიებების შესახებ:

FDMS - საგარეო ვალის მართვის ელექტრონული სისტემა

პროექტის მიზანია შეიქმნას ელექტრონული სისტემა, რომლის საშუალებით მოხდება ქვეყნის საგარეო ვალის აღრიცხვა და მართვა. სისტემის მომხმარებელი იქნება საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგარეო ურთიერთობათა დეპარტამენტი.
პროგრამის ძირითადი ფუნქციონალი მოიცავს:

- არსებული ვალის აღრიცხვას
- გადასახდელი თანხების აღრიცხვას
- პროექტების მართვას
- პროექტის ინიცირებასთან დაკავშირებულ ყველა მნიშვნელოვანი დოკუმენტის შენახვას
- საჭირო რეპორტების შექმნას ქართულ და ინგლისურ ენებზე.

პროექტის დანერგვის მოსალოდნელი თარიღია 2011 წლის მეორე ნახევარი.

eAuction - სახელმწიფოს საკუთრებაში მიქცეული ქონების ელექტრონული აუქციონის სისტემა

აუქციონზე გამოტანილია საქართველოს კანონმდებლობის დარღვევისთვის სახელმწიფო საკუთრებაში მიქცეული ქონება, რომლის ღირებულება არის საბაზრო ფასზე დაბალი.

- მიმდინარეობს სისტემაში სხვა სახელმწიფო სტრუქტურების ჩართვა

ყოველდღიურ რეჟიმში ხდება უკვე დასრულებული პროექტების შედეგად მიღებული ელექტრონული პროდუქტების და სისტემების განახლება-სრულყოფა.

16. სასურველია, ვებ-გვერდზე არსებობდეს (ქვე-)განყოფილებები ,,საერთაშორისო პარტნიორობა“ და „პარტნიორობა საქართველოს ორგანიზაციებთან“, სადაც მოყვანილი იქნება პარტნიორობის შესაბამისი ტექსტური ინფორმაციული აღწერა და სასმახურის პარტნიორ ორგანიზაციათა ვებ-გვერდების ბმულები.

- **სამართლებრივი აქტები და საჯარო დაწესებულების ნორმაშემოქმედებითი საქმიანობა**

17. სასურველია ვებ-გვერდზე შეიქმნას (ქვე-)განყოფილება სათაურად ,,კანონმდებლობა“ ან „სამართლებრივი აქტები“ სადაც განთავსდება სამსახურის საქმიანობის (მმართველობის) სფეროსთან დაკავშირებული საქართველოს პრეზიდენტის, საქართველოს მთავრობისა და საქართველოს მინისტრის სამართლებრივი აქტები და სამართლებრივი აქტების პროექტები; აგრეთვე, სამსახურის უფროსის მიერ გამოცემული ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტები (მათ შორის სამსახურის სტრუქტურული ქვედანაყოფების ხელმძღვანელების თანამდებობრივი სარგოებისა და მოადგილის ფუნქციების განმსაზღვრელი აქტები), დირექტორის მიერ დამტკიცებული სამსახურის საშტატო განრიგი, სახელფასო ფონდი და სამსახურის შინაგანაწესი. აგრეთვე, ადმინისტრაციული დეპარტამენტის მიერ მომზადებული სამართლებრივი აქტების პროექტები.

ამასთან, შემდეგი სამართლებრივი აქტები - სამსახურის დებულება და შინაგანაწესი (რომლებიც არ მოიძიება) სასურველია, მოიძიებოდეს ცალკეულ ქვე-განყოფილებებში.

სასურველია აღნიშნულ (ქვე-)განყოფილებაში, აგრეთვე, მოიძიებოდეს შემდეგი სამართლებრივი აქტებიც:

- საქართველოს კონსტიტუცია;
- საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი;
- საქართველოს კანონი „საჯარო სამართლის იურიდიული პირის შესახებ“;
- საქართველოს პრეზიდენტის 2011 წლის 11 მარტის N160 ბრძანებულება „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საფინანსო-ანალიტიკური სამსახურის შექმნის შესახებ“;
- საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებები და შეთანხმებები.

საჯარო დაწესებულების საქმიანობის წესი, რომელიც მიზნად ისახავს ფიზიკურ და იურიდიულ პირთა უფლებების, თავისუფლებებისა და კანონიერი ინტერესების უზრუნველყოფას

18. ვებ-გვერდზე არ მოიძიება ფიზიკურ და იურიდიულ პირთა მიმართვათა მიმოხილვა.

19. ვებ-გვერდზე არ არსებობს საჯარო ინფორმაციასთან დაკავშირებული განცალკევებული განყოფილება. არ მოიძიება საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი საჯარო მოსამსახურის ვინაობის (სახელი და გვარი), თანამდებობისა და საკონტაქტო რეკვიზიტების შესახებ ინფორმაცია, საჯარო ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმის

შესახებ მიღებულ გადაწყვეტილებათა გასაჩივრების შესახებ ცნობები და სამსახურში შესული საჯარო ინფორმაციის გაცემასა და გაცემის მოთხოვნაზე უარის თქმის თაობაზე მიღებულ გადაწყვეტილებათა რაოდენობის შესახებ ინფორმაცია. აგრეთვე, ვებ-გვერდზე არ არის წარმოდგენილი ადმინისტრაციული საჩივრისა და საჯარო ინფორმაციის მოთხოვნის ჩამოსატვირთი ფორმები/ნიმუშები.

- **საჯარო დაწესებულების საქმიანობის ფარგლებში მიმდინარე სახელმწიფო შესყიდვების, სახელმწიფო ქონების პრივატიზების, ხელშეკრულებების გაფორმების შესახებ ცნობები**

20. ვებ-გვერდზე არ მოიძიება ადმინისტრაციულ ხელშეკრულებათა ბლოკი/განყოფილება, სადაც მოყვანილი იქნებოდა სამსახურსა და ფიზიკურ/იურიდიულ პირებს შორის, აგრეთვე, სამსახურსა და სხვა საჯარო დაწესებულებას შორის გაფორმებულ ადმინისტრაციულ (სამოქალაქო/სამართლებრივ) ხელშეკრულებათა ჩამონათვალი და პირობები.

21. ვებ-გვერდზე არ არსებობს (ქვე-)განყოფილება, სათაურად „ტენდერები“, სადაც განთავსდება სამსახურის მიერ განხორციელებული სახელმწიფო შესყიდვებისა (გამოცხადებული ტენდერები, კონკურსები და სხვა სახის სახელმწიფო შესყიდვები) და განხორციელებული სახელმწიფო ქონების პრივატიზების (ელექტრონული/საჯარო აუქციონების, პირდაპირი მიყიდვის, სხვა გზით) ამომწურავი ჩამონათვალი (სია) და ასევე, სამსახურის მიერ განხორციელებული სახელმწიფო შესყიდვებისა და სახელმწიფო ქონების პრივატიზების (ელექტრონული/საჯარო აუქციონების, პირდაპირი მიყიდვის, სხვა გზით) შესახებ ინფორმაცია. *(პროექტ **„საჯარო ინფორმაციის მონაცემთა ბაზის“ ფარგლებში, რომელსაც ახორციელებს „ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი**", საფინანსო-ანალიტიკური სამსახურისათვის მიმართული ოფიციალური წერილით მოთხოვნილ იქნა 2011 წლის მეორე კვარტალში (აპრილი-მაისი-ივნისი) განხორციელებული სახელმწიფო შესყიდვების (გამოცხადებული ტენდერები, კონკურსები და სხვა სახის სახელმწიფო შესყიდვები) ამომწურავი ჩამონათვალი (სია) და თითოეულ მათგანზე გახარჯული თანხის ოდენობა, რომელიც მოწოდებულ იქნა, რაც შესაძლებელს ხდის სამსახურის მიერ ამ ინფორმაციის ვებ-გვერდზეც განთავსებას. მოცემული ინფორმაცია შესაძლებელია მოძიებულ იქნეს შემდეგ ბმულზე:*

http://www.opendata.ge/pdf_files/safinanso.analitikuri_shesyidvebi.pdf

აგრეთვე, მოთხოვნილ იქნა 2011 წლის პირველ კვარტალში (სამი თვე) განხორციელებული სახელმწიფო შესყიდვებისა (გამოცხადებული ტენდერები, კონკურსები და სხვა სახის სახელმწიფო შესყიდვები) და განხორციელებული სახელმწიფო ქონების პრივატიზების (ელექტრონული/საჯარო აუქციონების, პირდაპირი მიყიდვის, სხვა გზით) ამომწურავი ჩამონათვალი (სია), რომელიც ასევე, მოწოდებულ იქნა, რაც შესაძლებელს ხდის სამსახურის მიერ ამ ინფორმაციის ვებ-გვერდზეც განთავსებას. მოცემული ინფორმაცია შესაძლებელია მოძიებულ იქნეს შემდეგ ბმულზე: http://www.opendata.ge/pdf_files/safinansoanalitikuri_udzravigoneba.pdf).

- **საჯარო დაწესებულების საკადრო უზრუნველყოფა**

22. ვებ-გვერდზე მართალია არსებობს ქვე-განყოფილება სათაურად „ვაკანსიები“, თუმცა მასში განთავსებულია ერთადერთი განცხადება:

დასახელება: საინფორმაციო ტექნოლოგიების სპეციალისტები
განმცხადებელი: საქართველოს ფინსთა სამინისტროს სსიპ საფინანსო-ანალიტიკური სამსახური
სამუშაო განაკვეთი: სრული

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სსიპ საფინანსო-ანალიტიკური სამსახური აცხადებს ვაკანსიებს საინფორმაციო ტექნოლოგიების სპეციალისტების თანამდებობებზე:

1. .NET აპლიკაციების უმცროსი დეველოპერი

მოთხოვნები:
** უმაღლესი ტექნიკური განათლება (უნივერსიტეტის დიპლომი);
** პროფესიული გამოცდილება შესაბამის სფეროში: მინიმუმ 2 წელი;
** .NET Framework 3.5 ტექნოლოგიის სრულყოფილად ფლობა (ASP.NET, ADO.NET და C#-ის ცოდნა აუცილებელია,.NET Framework 4 ცოდნა ჩაითვლება უპირატესობად);
** ASP.NET AJAX ტექნოლოგიის სრულყოფილად ფლობა (ASP.NET 4, AJAX -ის ცოდნა ჩაითვლება უპირატესობად);
** Windows Communication Foundation Data Services ტექნოლოგიებთან სამუშაო გამოცდილება ჩაითვლება უპირატესობად;
** SQL ენის სრულყოფილად ფლობა და MS SQL Server მონაცემთა ბაზაზე პროგრამული უზრუნველყოფის შექმნის პროფესიული გამოცდილება;
** HTML/XHTML, XML, CSS, JavaScript ტექნოლოგიების სრულყოფილად ფლობა;
** Microsoft Silverlight 4 და/ან Windows Presentation Foundation (WPF) ტექნოლოგიების ცოდნა;
** Windows გარემოში კომფორტული მუშაობა და Microsoft პროდუქტებთან მუშაობის გამოცდილება;
** პროფესიული სერტიფიკატების ქონა ჩაითვლება უპირატესობად;
სხვა უნარები და კვალიფიკაციები:
** ობიექტზე ორიენტირებული დაპროგრამების დიზაინი და მეთოდოლოგია;
** პროფესიული სერტიფიკატების ქონა ჩაითვლება უპირატესობად;
სხვა უნარები და კვალიფიკაციები:
** რამოდენიმე პროექტზე ერთდროულად მუშაობის უნარი;
** კომუნიკაბელურობის და გუნდური მუშაობის უნარი;
** გადაწყვეტილების მიღების და პრობლემების გადაჭრის უნარი

2. PHP ვებ აპლიკაციების დეველოპერი

მოთხოვნები:
** უმაღლესი ტექნიკური განათლება (უნივერსიტეტის დიპლომი);
** პროფესიული გამოცდილება შესაბამის სფეროში: მინიმუმ 4 წელი;
** PHP5 სრულყოფილი ცოდნა;
** MySQL სრულყოფილი ფლობა;
** HTML/XHTML, XML, CSS, JavaScript, JQuery/ AJAX ტექნოლოგიების სრულყოფილად ფლობა;
** სოციალური ქსელებისა და სოციალური მედიის აპლიკაციების შესაბამისი web სტანდარტების ცოდნა;
** Linux ოპერაციულ სისტემაში მუშაობის გამოცდილება;
** პროფესიული სერტიფიკატების ქონა ჩაითვლება უპირატესობად;

სასურველია, აღნიშნულ ქვე-განყოფილებაში განთავსდეს ვაკანსიათა არქივი, აგრეთვე, საჯარო თანამდებობათა დასაკავებელი კონკურსის შედეგები (სამსახურის მიერ კანდიდატთა პერსონალური მონაცემების ვებ-გვერდზე განთავსების საფუძვლებზე (თანხმობის მიღება) მითითებით, საჯარო თანამდებობათა დასაკავებელი კონკურსის პროცედურებისა და შედეგებთან დაკავშირებული პრეტენზიების წაყენების, მათი ადმინისტრაციული წარმოების გზით გასაჩივრების წესის აღწერა და ა.შ.

- **საჯარო დაწესებულების დაფინანსება და ხარჯთაღრიცხვა (ბიუჯეტი)**

23. ვებ-გვერდზე არ არის წარმოდგენილი სამსახურის საქმიანობასთან დაკავშირებული ფინანსური ხასიათის არანაირი ინფორმაცია:

- არ მოიძიება სამსახურისათვის გამოყოფილი სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული ყოველწლიური ასიგნებების შესახებ ინფორმაცია;

- არ მოიძიება სამსახურის ბიუჯეტში ასახული შემოსავლებისა და გასავლების / ბიუჯეტის შესრულების ბალანსისა და ბიუჯეტის ასიგნებების ხარჯვის შესახებ ზოგადი ინფორმაცია; *(პროექტ „საჯარო ინფორმაციის მონაცემთა ბაზის“ ფარგლებში, რომელსაც*

ახორციელებს „ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი", საფინანსო-ანალიტიკური სამსახურისათვის მიმართული ოფიციალური წერილით მოთხოვნილ იქნა 2011 წლის მეორე კვარტალში (აპრილი-მაისი-ივნისი) განხორციელებული სახელმწიფო ბიუჯეტის ასიგნების ხარჯვის შესახებ ამომწურავი ინფორმაცია (სახელმწიფო ბიუჯეტის 2011 წლის მეორე კვარტლის შესრულების ბალანსი/ანგარიში), რომელიც მოწოდებულ იქნა, რაც შესაძლებელს ხდის სამსახურის მიერ ამ ინფორმაციის ვებ-გვერდზეც განთავსებას. მოცემული ინფორმაცია შესაძლებელია მოძიებულ იქნეს შემდეგ ბმულზე:
http://www.opendata.ge/pdf_files/_safinansoanalitikuri_budget.pdf

აგრეთვე, მოთხოვნილ იქნა 2011 წლის პირველ კვარტალში (სამი თვე) განხორციელებული სახელმწიფო ბიუჯეტის ასიგნების ხარჯვის შესახებ ინფორმაცია (სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების ბალანსი), რომელიც ასევე, მოწოდებულ იქნა, რაც შესაძლებელს ხდის სამსახურის მიერ ამ ინფორმაციის ვებ-გვერდზეც განთავსებას. მოცემული ინფორმაცია შესაძლებელია მოძიებულ იქნეს შემდეგ ბმულზე:
http://www.opendata.ge/pdf_files/safinansoanalitikuri_budget.pdf);

- არ მოიძიება საჯარო სამსახურებრივი უფლებამოსილების განმახორციელებელი თანამდებობის პირთა ჩამონათვალი და საშტატო ერთეულზე გათვალისწინებული ფინანსური განაკვეთების შესახებ ინფორმაცია;

- არ მოიძიება სამსახურის სრული სისტემის თანამშრომლებზე გაცემული ხელფასების, დანამატების და დარიცხული პრემიების წლიური ოდენობების შესახებ ინფორმაცია; *(პროექტ „საჯარო ინფორმაციის მონაცემთა ბაზის" ფარგლებში, რომელსაც ახორციელებს „ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი", საფინანსო-ანალიტიკური სამსახურისათვის მიმართული ოფიციალური წერილით მოთხოვნილ იქნა საჯარო სამსახურებრივი უფლებამოსილების განმახორციელებელ თანამდებობის პირებზე და სრული სისტემის (ყველა სტრუქტურული ერთეული, ტერიტორიეული და სხვა სისტემაში შემავალი ორგანო თუ დანაყოფი) თანამშრომლებზე 2011 წლის მეორე კვარტალში (აპრილი-მაისი-ივნისი) გაცემული ხელფასების, დანამატებისა (ასეთის არსებობის შემთხვევაში) და პრემიების საერთო კვარტალური ოდენობების შესახებ ინფორმაცია (კონკრეტულ პირთა ვინაობაზე მითითების გარეშე), რომელიც მოწოდებულ იქნა, რაც შესაძლებელს ხდის სამსახურის მიერ ამ ინფორმაციის ვებ-გვერდზეც განთავსებას. მოცემული ინფორმაცია შესაძლებელია მოძიებულ იქნეს შემდეგ ბმულზე:*
http://www.opendata.ge/pdf_files/__safinansoanalitikuri_xelfasipremia.pdf

- *აგრეთვე, მოთხოვნილ იქნა 2011 წლის პირველ კვარტალში (სამი თვე) გაცემული ხელფასებისა და პრემიების საერთო კვარტალური ოდენობების შესახებ ინფორმაცია (კონკრეტულ პირთა ვინაობაზე მითითების გარეშე), რომელიც ასევე, მოწოდებულ იქნა, რაც შესაძლებელს ხდის სამსახურის მიერ ამ ინფორმაციის ვებ-გვერდზეც განთავსებას. მოცემული ინფორმაცია შესაძლებელია მოძიებულ იქნეს შემდეგ ბმულზე:*

http://www.opendata.ge/pdf_files/safinansoanalitikuri_xelfasipremia.pdf);

- არ მოიძიება სამსახურის შესაბამისი სამართლებრივი აქტის საფუძველზე ან/და საკუთარი ინიციატივით განხორციელებული იმ პროექტებისა და პროგრამების (სოციალური, მიზნობრივი, კვლევითი, სამეცნიერო, საგანმანათლებლო, ამა თუ იმ სფეროს განვითარებაზე მიმართული და მისთ.) სავარაუდო და ფაქტობრივი ხარჯთაღრიცხვა, რომელთა დამკვეთს, შემსრულებელს ან რეალიზაციაში რაიმე სახით მონაწილე მხარეს წარმოადგენს სამსახური;

- არ მოიძიება უცხო სახელმწიფოთა მთავრობების, საერთაშორისო ორგანიზაციების, სხვა დონის სახელმწიფო ერთეულების მიერ სამსახურისათვის გამოყოფილი ფინანსური დახმარების (გრანტები) ხარჯთაღრიცხვა.

შეფასება ვებ-გვერდის ელექტრონული კომპონენტის მიხედვით:




ვებ-გვერდის ელ-მმართველობის ხარისხი
ტექნიკური პარამეტრის არსებობა ვებ-გვერდზე
1. ნავიგაცია
77,78%
2. ძიება
80,00%
3. მარტივად აღქმის კრიტერიუმები
41,18%
4. საკონტაქტო ფორმები და წესები
0,00%
5. ვებ-კონტენტის ხელმისაწვდომობა
40,00%
6. ადაპტაცია მობილურ კავშირგაბმულობასთან WAP
0,00%
7. სინტაქსურად გამართული პროგრამული კოდი
70,00%
8. ინტეგრაცია სოციალურ ქსელებთან
0,00%
9. ელექტრონული ჩართულობა
0,00%
10. ელექტრონული სერვისები
9,09%
11. უნარშეზღუდული მომხმარებლებისთვის ინფორმაციის ხელმისაწვდომობა
0,00%
12. უსაფრთხოება
0,00%
13. დამატებითი მნიშვნელოვანი პარამეტრები
38,46%
0
0,2
0,4
0,6
0,8

➢ ნავიგაცია

ნავიგაცია ზოგ შემთხვევაში ირევა და მისი ბმულები ერთმანეთს ფარავენ:



ზოგიერთ შემთხვევაში ნავიგაციის ბმულები ინაცვლებს სამსახურის ლოგოს ქვეშ და შეუძლებელი ხდება მათი მარტივად გამოყენება:

ვებ-გვერდის მეორე ხარისხოვანი მენიუ (რომელსაც აქვს მწვანე ფონი) არ არის ფიქსირებულ ადგილზე, იგი სხვადასხვა გვერდზე გადასვლისას გადადის ხან ხელმარცხნივ ხან ხელმარჯვნივ, რამაც შეიძლება დააბნიოს მომხმარებელი:

არ მუშაობს ვებ-გვერდის სერვისი „ყველა ბმული“:



- **ძიება**

ძიებაში წვრილმანი ხარვეზია, მცირე ფონტის გამო სიტყვა „ძიება“ ჩანს, როგორც „ძებნი“:

სასურველია, რომ ძიების ველში ავტომატურად იყოს მითითებული ქართული ფონტის გამოყენება:

- **მარტივად აღქმის კრიტერიუმები**

ვებ-გვერდის ინგლისურ ვერსიაში გაპარულია მცირე ხარვეზები, ზოგიერთი მოდული დარჩენილია ქართულ ენაზე:



სასურველია, რომ ვებ-გვერდის საპრეზენტაციო (პირველი) გვერდზე შესვლით მომხმარებლმა მარტივად შეიტყოს თუ რომელი საჯარო დაწესებულების ელ.რესურსზე მოხვდა და როგორ შეიძლება მისი სწორად გამოყენება. ამ შემთხვევაში კი, ლოგოზე საკმაოდ მცირე ზომის ფონტით არის მოცემული საფინანსო ანალიტიკური სამსახურის სახელწოდება, რაც ართულებს მომხმარებლისთვის იმის აღქმას თუ რომელი საჯარო დაწესებულების ვებ-გვერდზე იმყოფება:

ვებ-გვერდზე არსებობს ცარიელი გვერდები სადაც აღნიშნულია, რომ გვერდი მზადების პროცესშია. თუმცა, გვხვდება ისეთი გვერდებიც სადაც აღნიშნული წარწერა არ გვხვდება:

- **საკონტაქტო ფორმები და წესები**

ვებ-გვერდზე დარღვეულია ელექტრონული ფოსტის სტანდარტები და თავად ვებ-რესურსის დომენური სახელწოდების სტანდარტიც (fas.ge ნაცვლად fas.gov.ge):



ამ შემთხვევაში ელ.ფოსტა უნდა იყოს შემდეგ ფორმატში:

info@fas.gov.ge
press@fas.gov.ge
contact@fas.gov.ge

ვებ-გვერდის მთავარ მენიუში არ არის პუნქტი „კონტაქტი“, იგი დამხმარე მენიუშია განთავსებული, რის გამოც მისი მოძიება მომხმარებლისთვის გართულებულია:

- **ვებ-კონტენტის ხელმისაწვდომობა**

ვებ-კონტენტის რელევანტური ხელმისაწვდომობა უნდა მოხდეს როგორც ვებ-გვერდიდან, ასევე საძიებო სისტემებიდან. თუმცა, ვებ-გვერდის ამჟამინდელი სათაური (Title) არ აძლევს საძიებო სისტემებს იმის საშუალებას, რომ ინდექსაცია იყოს მარტივი და ზუსტი:



ამ შემთხვევაში „მთავარი“-ს მაგივრად უნდა ეწეროს საჯარო დაწესებულების დასახელება;

ვებ-გვერდს აქვს კატეგორია „სიახლეების არქივი“, თუმცა მასში შესვლის შემდეგ გამოდის ცარიელი გვერდი:

თუ სიახლეების არქივის მოდული პირველ გვერდზე აჩვენებს მხოლოდ მიმდინარე თვის სიახლეებს და თუ მიმდინარე თვეში არ არის არც-ერთი სიახლე, უნდა აღინიშნოს, რომ ამ თვეში სიახლეები ვერ მოიძებნა და მომხმარებელს შესთავაზოს სხვა თარიღის სიახლეების ნახვა;

ვებ-გვერდს აქვს „კითხვა-პასუხის“ განყოფილება, თუმცა ამ განყოფილებიდან მომხმარებელს შეუძლია მხოლოდ გააგზავნოს თავისი კითხვა საკონტაქტო ფორმის მეშვეობით. ზოგადად ვებ-გვერდზე „კითხვა-პასუხის“ სერვისის მიზანია, რომ მომხმარებელმა მიიღოს ინფორმაცია ხშირად დასმულ კითხვებზე გაცემული პასუხების შესახებ.

- **ინტეგრაცია სოციალურ ქსელებთან**

ინტეგრაცია სოციალურ ქსელებთან ვებ-გვერდს საერთოდ არ აქვს. სამწუხაროდ, მას არც მნიშვნელოვან სოციალურ ქსელებში აქვს შესაბამისი „Fan Page“-ი.

- **უსაფრთხოება**

ვებ-გვერდს არ აქვს გადაცემული ცვლადების ფილტრაციის ფუნქცია, რის გამოც ვებ-გვერდი იმყოფება კიბერ შეტევის რისკის ქვეშ:

Server Error in '/' Application.

Runtime Error

Description: An application error occurred on the server. The current custom error settings for this application pre
machine.

Details: To enable the details of this specific error message to be viewable on remote machines, please create a <c
"mode" attribute set to "Off".

```
<!-- Web.Config Configuration File -->

<configuration>
    <system.web>
        <customErrors mode="Off"/>
    </system.web>
</configuration>
```

Notes: The current error page you are seeing can be replaced by a custom error page by modifying the "defaultRedi

ჩვენ სპეციალურად არ ვწერთ დეტალურ ინფორმაციას ამ ხარვეზის შესახებ, თუმცა საფინანსო ანალიტიკური სამსახურის ოფიციალურ პირთა დაინტერესების შემთხვევაში მივაწვდით სრულ ინფორმაციას;